

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №406

2014 წლის 18 ივნისი

ქ. თბილისი

### ცენტრალური გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს ცენტრალური გამწვევი კომისიის თანდართული შემადგენლობა (დანართი №1).

#### მუხლი 2

დამტკიცდეს ცენტრალური გამწვევი კომისიის თანდართული დებულება (დანართი №2).

#### მუხლი 3

წვევამდებლის ორგანიზებულად განაწილება განხორციელდეს ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტიდან (ქ. თბილისი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-2<sup>ბ</sup> კორპუსი).

#### მუხლი 4

შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება განხორციელოს ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულმა მუდმივმოქმედმა სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიამ. დამტკიცდეს ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის შემადგენლობა (დანართი №3).

#### მუხლი 5

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის ფუნქციონირება.

#### მუხლი 6

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარულ-ამბულატორიული სამედიცინო გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 7

ამ დადგენილების შესრულების კონტროლი განხორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

#### მუხლი 8

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №475 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილება №62 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 27.05.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 01.03.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 აგვისტოს დადგენილება №411 - ვებგვერდი, 30.08.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №90 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.



## ცენტრალური გამწვევი კომისიის შემადგენლობა

1. **ზურაბ ალაგიძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე.
2. **კახაბერ გულედანი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. **ლელა ჩიქოვანი** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი.
4. **თამილა ზარკალაია** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.
5. **ზვიად მიხანაშვილი** – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.
6. **შალვა ჯაბახიძე** – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.
7. **მერაბ მალანია** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.
8. **გიორგი პატარიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.
9. **ლია გიგაური** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.
10. **ალექსი ბატიაშვილი** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.
11. **გიორგი ხადური** – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.
12. **ლევან ძნელაძე** – საქართველოს მთავარი პროკურატურის თავდაცვისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.
13. **ნოდარ რაზმაძე** – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი, კომისიის წევრი.
14. **გოჩა ხარშილაძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.
15. **დავით ფერაძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.
16. **დავით გრიგალაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
17. **გიორგი ტულუში** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
18. **ინგა მაჩანაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

დანართი №2

## ცენტრალური გამწვევი კომისიის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ცენტრალური გამწვევი კომისიის (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილებას



და საქმიანობის წესს.

2. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. კომისიას აქვს ბლანკი და ბეჭედი, მცირე ზომის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

4. კომისიას შესაძლებელია ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

## **მუხლი 2. კომისიის ამოცანები**

კომისიის ძირითადი ამოცანებია ქვეყნის მასშტაბით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი.

## **მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილებანი**

კომისია უფლებამოსილია:

ა) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხებთან დაკავშირებით გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ხოლო ქალაქ თბილისში - თბილისის რაიონის (შემდგომში - თბილისის რაიონი) გამწვევი კომისიებიდან;

ბ) გამოითხოვოს ინფორმაცია ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიიდან;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თბილისის რაიონის გამწვევ კომისიებს გაუწიოს მეთოდური და საკონსულტაციო დახმარება;

დ) კომისიის შემადგენლობიდან შექმნას სამუშაო ჯგუფი და განსაზღვროს ამ ჯგუფის ხელმძღვანელი (შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსი);

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს და განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები;

ვ) მიიღოს გადაწყვეტილებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ზ) კონკრეტულ საკითხებზე საკონსულტაციოდ მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები;

თ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტებში და თბილისის რაიონში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის კოორდინირებული განხორციელების ხელშეწყობა.

## **მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) უძღვება კომისიის სხდომებს;

ბ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს კომისიის სხდომა კონკრეტული დღის წესრიგით;

გ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს და კომისიის სხვა დოკუმენტაციას.



3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.
4. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის სხვა წევრი.
5. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მომზადებას, კომისიის საქმისწარმოებას და კომისიის სხდომის ოქმის შედგენას.

## **მუხლი 5. კომისიის სამუშაო ჯგუფი**

1. ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტიდან გაწვეულ პირთა განაწილების მიზნით, კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ქმნის სამუშაო ჯგუფს.
2. სამუშაო ჯგუფის უფროსი (შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსი) უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში მოახდინოს წვევამდელთა განაწილება შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა მიხედვით.
3. სამუშაო ჯგუფის უფროსი (შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსი) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ პირთა დოკუმენტაციას უზრუნველყოფს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს.
4. სამუშაო ჯგუფის უფროსი (შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსი) კომისიის თავმჯდომარეს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას წვევამდელთა გაწვევის მიმდინარეობის შესახებ.
5. სამუშაო ჯგუფის უფროსის (შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის უფროსი) არყოფნის შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის უფროსის დავალებით, მის მოვალეობას ასრულებს სამუშაო ჯგუფის წევრი.

## **მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი**

1. კომისიის საქმიანობის ძირითადი ფორმაა კომისიის სხდომა.
2. კომისიის სხდომას კონკრეტული დღის წესრიგით იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3 - ის მოთხოვნით.
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-სა.
5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის სხდომის ოქმიდან ამონაწერს ხელს აწერს კომისიის მდივანი. სხდომის ოქმში აისახება კომისიის წევრის კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავშეკავების, უარის თქმის მიზეზის ან/და სხდომაზე გამოთქმული განსხვავებული აზრის შესახებ.
6. დაუშვებელია კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემა.

## **მუხლი 7. კომისიის საქმისწარმოების უზრუნველყოფა**

კომისიის საქმისწარმოებას, კომისიის სხდომების მოწვევის და ჩატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.



**ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო  
საექსპერტო კომისიის შემადგენლობა**

1. მანანა მშვენიერაძე – მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის (შემდგომში – კომისია) თავმჯდომარე;
2. ნინო გიორგობიანი – შინაგანი მედიცინის სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. იური ერემიანი – ზოგადი ქირურგი;
4. გიორგი ქამუშაძე – ოფთალმოლოგი;
5. დავით მარშანია – ოტორინოლარინგოლოგი;
6. აკაკი ქურდაძე – ორთოპედ-ტრავმატოლოგი;
7. ქეთევან ზედაშიძე – ფთიზიატრი;
8. ნანა სეხნიაშვილი – დერმატო-ვენეროლოგი;
9. ნინო ჭეიშვილი – ფსიქიატრი;
10. ნანა ჩაგუნავა – ფსიქიატრი;
11. მანანა მაისურაძე – ნევროლოგი;
12. ნინო თავბერიძე – რადიოლოგი;
13. ინგა ჭანტურია – სტომატოლოგი;
14. ნინო სამყურაშვილი – ექიმი ლაბორანტი;
15. ინეზა ჩაჩავა – ლაბორანტი;
16. თინათინ გასიტაშვილი – კომისიის მდივანი.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №447 – ვებგვერდი, 06.10.2017წ.*

